

ინტერესის გამოხატვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ 112 არის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი, რომელიც ემსახურება მთელ საქართველოს 24 საათის განმავლობაში. ცენტრი შეტყობინებებს იღებს და გადასცემს შესაბამის სამსახურებს, კერძოდ, საპატრულო, სასწრაფო და სახანძრო/სამაშველო ბრიგადებს. 24 საათის განმავლობაში 112-ის ორი ქოლ-ცენტრი იღებს დაახლოებით 20,000 ზარს.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 112 ატარებს ბაზრის კვლევას გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრისთვის გადაუდებელი შემთხვევების პრიორიტეტების დამდგენი პროგრამის ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაშვების მოწოდებით დაინტერესებული კომპანიების გამოვლენისა და სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით.

ძირითადი მოთხოვნები:

1. პროგრამა ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაშვება ავტომატურად უნდა აგენერირებდეს ოპერატორის მიერ ზარის ინციტორისთვის დასასმელ შეკითხვებს, ოპტიმალური თანმიმდევრობით;
2. მიღებული პასუხების შესაბამისად, მაღალი სიზუსტით უნდა დაადგინოს გადაუდებელი შემთხვევის პრიორიტეტულობა, კერძოდ, განსაზღვროს, შემთხვევაზე რეაგირების გადაუდებლობის დონე;
3. სიტუაციის შესაბამისად უნდა დააგენერიროს შესაბამისი პირველი დახმარების ინსტრუქციები;
4. პროგრამა ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაშვება უნდა მოიცავდეს სამედიცინო, საპოლიციო და სახანძრო დისციპლინებს;
5. პროგრამა ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაშვება უნდა ოპერირებდეს ქართულ ენაზე და ჰქონდეს სხვა ენების დამატების საშუალება;
6. პროგრამა ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაშვება მორგებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებულ რეალობაზე;
7. პროგრამა ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაშვება თავსებადი უნდა იყოს 112-ში არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან - ERC-სთან (Emergency Response Center - პროგრამა, რომლის საშუალებითაც, 112-ში ოპერატორები იღებენ ზარებს და ქმნიან საქმეებს ინციდენტის შესახებ) და არ უნდა მოახდინოს მისი ჩანაცვლება, კერძოდ, აღნიშნული პროგრამის ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაშვების ჩაშენება უნდა მოხდეს არსებულ არქიტექტურაში;
8. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამის ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაშვების მოხმარების სწავლება 112-ს შესაბამისი თანამშრომლებისთვის;
9. შემოთავაზებულ პროგრამას ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაშვებას უნდა ჰქონდეს ოპერირების არანაკლებ 5 წლიანი და არანაკლებ 10 ქვეყანაში ოპერირების გამოცდილება;

10. პროგრამას ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დამკვეთის შენიშვნების გათვალისწინებით, უნდა ჰქონდეს მუდმივი განახლებისა და განვითარების შესაძლებლობა;
11. პროგრამის ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დამკვეთის მოწოდება და იმპლემენტაცია, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს შესაძლოდ მოკლე ვადაში.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, არაუგვიანეს 2018 წლის 20 აგვისტოსი წარმოგვიდგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვის ობიექტისა და მისი სავარაუდო ღირებულების შესახებ, შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: publicinfo@112.ge

საკონტაქტო პირი: სალომე ჩუხუა
ტელ: 599 98 43 01;

მის: ქ. თბილისი, ლისის ქ. 1ა

წინასწარ გიხდით მადლობას ბაზრის კვლევაში მონაწილეობისთვის.

Request of Expression of Interest

112 Georgia, under Ministry of Internal Affairs of Georgia is an Emergency Response Center which serves the whole Georgia 24/7. 112 receives calls and transfers them to the relevant units – patrol police, emergency ambulance or fire/rescue teams. In 24 hours 2 PSAPs of 112 receive up to 20,000 calls. With the aim of increasing the service level, 112 is pleased to announce the market research with the aim of determining the company and presumable cost of case priority determining software and/or access to software for 112 PSAPs.

Main requirements:

1. Software and/or access to software must automatically generate relevant questions in the optimal sequence to be asked by the call taker during collecting information from the call initiator;
2. Considering the received responses, software and/or access to software must determine the case priority with high precision; more precisely, it must determine the response urgency level;
3. In accordance with the existing situation, software and/or access to software must generate first aid instructions;
4. Software and/or access to software must cover medical, police and fire/rescue disciplines;
5. Software and/or access to software must operate in Georgian language and must have ability to add more languages;

6. Software and/or access to software must be adapted the reality of the country;
7. Software and/or access to software must be compatible with the existing software of 112 – ERC (Emergency Response Center – software, which enables the call takers of 112 to receive calls and create cases regarding the incidents); requested software and/or access to software mustn't replace the existing software (ERC); instead it must be integrated in the existing architecture;
8. Trainings must also be provided for the relevant employees of 112 in usage of the offered software and/or access to software;
9. Offered software and/or access to software must have an experience of operating for no less than 15 years and in no less than 10 countries;
10. Software and/or access to software must have an ability of constant development and upgrades, based on the requirements of the buyer;
11. Considering the importance of the issue, software and/or access to software must be delivered and implemented in the shortest period of time possible;

Interested companies are encouraged to present their proposals (indicating the cost) no later than August 20, 2018 at the following e-mail address: publicinfo@112.ge

Contact person: Salome Chukhua

Telephone: +995 598 98 43 01

Address: 1a Lisi str., Tbilisi

Thank you in advance for participating in the market research.